



საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 285 2026 წლის 24 ივნისი ქ. თბილისი

აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა“.

მუხლი 2. ამ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში:

1. მონაწილეობას შეძლებენ ის პოტენციური ბენეფიციარები, რომლებსაც არ აქვთ ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტების/პროგრამების ფარგლებში მიმდინარე სახელშეკრულებო დარღვევა ან/და სასამართლო დავა.

2. ის ბენეფიციარები, ვისთანაც გაფორმდება თანადაფინანსების ხელშეკრულება, თანადაფინანსებას მიიღებენ იმ შემთხვევაში, თუ ამ დადგენილების ამოქმედების შემდეგ ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტების/პროგრამების ფარგლებში არ ექნებათ მიმდინარე სახელშეკრულებო დარღვევა ან/და სასამართლო დავა.

3. პოტენციური ბენეფიციარის/ბენეფიციარის პროექტის განხორციელების თანხას არ შეიძლება, წარმოადგენდეს ამ დადგენილების ამოქმედებამდე „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით დამტკიცებული „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში გაცემული სესხი.

მუხლი 3. „აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის“ დაფინანსება განხორციელდეს შესაბამისი წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამული კოდის ასიგნებებიდან.

მუხლი 4. „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავლის“ ფარგლებში უკვე დაფინანსებულ მიწის ნაკვეთებზე და/ან მის ნაწილზე, ამ დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული „აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის“ პირველადი წარმოების თანადაფინანსების კომპონენტის მრავალწლოვანი კულტურების გაშენების ქვეკომპონენტის ფარგლებში მონაწილეობა დასაშვებია იმ მიწის ნაკვეთებზე და/ან მის ნაწილზე, აგრეთვე მათგან დაყოფის და/ან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მიწის ნაკვეთებზე, მიუხედავად მათი შემდგომი დაყოფისა და/ან გაერთიანებისა, რომლებთან დაკავშირებითაც „სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავლის“ შესაბამისი კომპონენტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურებიდან გასულია ხუთი წელი.

მუხლი 5. დაევალოს სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს, „აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის“ სასაკლავო მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში, უზრუნველყოს სასაკლავო მოწყობის ან გაფართოების/მოდერნიზების დაგეგმარების პროექტის შეთანხმება.

მუხლი 6. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილება.

2. „სახელმწიფო პროგრამის – „ქართული ბოსტნეული სათბურებიდან“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 26 აგვისტოს №277 დადგენილება.

3. „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №20 დადგენილება.

4. „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 სექტემბრის №461 დადგენილება.

5. „მეფუტკრეობის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 1 აგვისტოს №249 დადგენილება.

6. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №73 დადგენილება.

7. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კენკროვანი კულტურების შესანახი მაცივრების თანადაფინანსების სახელმწიფო

პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 მარტის №99 დადგენილება.

8. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 21 მარტის №137 დადგენილება.

9. „მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის №34 დადგენილება.

10. „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №150 დადგენილება.

11. „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სადოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილება.

12. „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 ივლისის №326 დადგენილება.

13. „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის №252 დადგენილება.

14. „თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 7 თებერვლის №32 დადგენილება.

15. „სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ივლისის №385 დადგენილება.

მუხლი 7. ეს დადგენილება არ გავრცელდეს ამავე დადგენილების ამოქმედებამდე ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტების/პროგრამების ფარგლებში წარდგენილ განაცხადებსა და გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, მათ შორის, „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით დამტკიცებული „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე გაცემული სესხების რეფინანსირებაზე.

მუხლი 8. ამ დადგენილების ამოქმედებამდე ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში წარდგენილ განაცხადებსა და გაფორმებულ ხელშეკრულებებზე ვრცელდება ამავე დადგენილების მე-6 მუხლში აღნიშნული, ძალადაკარგულად გამოცხადებამდე მოქმედი, შესაბამისი დადგენილებების რედაქციები.

მუხლი 9. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 ივლისიდან.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი კობახიძე

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2026 წლის 24 აპრილის
№ 285 დადგენილებით

აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა თავი I

მუხლი 1. პროგრამის მიზანი და ამოცანები

1. „აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომი – პროგრამა) მიზანია საქართველოში პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ხელშეწყობა და აგროსექტორში ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების მხარდაჭერა, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვისა და გადამუშავების ინფრასტრუქტურის შექმნისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობის გზით.

2. პროგრამის ამოცანებია:

ა) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში თანამედროვე და ეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა, მათ შორის, კლიმატურ პირობებთან ადაპტირებული ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა, აგრეთვე წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გაუმჯობესება;

ბ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, შენახვისა და გადამუშავების პროცესში ჩართული ბენეფიციარებისათვის შეღავათიან ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მუხლი 2. პროგრამის კომპონენტები

1. პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს:

- ა) პირველადი წარმოების თანადაფინანსება;
- ბ) გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება;
- გ) შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის;
- დ) შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის;
- ე) სასაკლავო მოწყობის თანადაფინანსება.

2. პოტენციურ ბენეფიციარს შეუძლია, ისარგებლოს პროგრამის ნებისმიერი კომპონენტით დადგენილი წესებითა და პირობებით.

მუხლი 3. პროგრამის განმახორციელებელი

1. პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).
2. პროგრამის განხორციელების კოორდინაციას უზრუნველყოფს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო).

მუხლი 4. ტერმინთა განმარტება

ამ პროგრამაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) ადგილზე კონტროლის პროცედურა – სააგენტოს მიერ დამტკიცებული ადგილზე კონტროლის განხორციელების პროცედურა;
- ბ) ანუიტეტი – სესხის დაფარვის ფორმა, რომელიც გულისხმობს დროის თანაბარი პერიოდულობით თანაბარი მოცულობის თანხის (ძირითადი თანხა და პროცენტი) გადახდას;
- გ) აუდიტორული დასკვნა – სააგენტოს გამგეობის მიერ განსაზღვრული პირ(ებ)ის მომზადებული დასკვნა;
- დ) არასტანდარტული გრაფიკი – ინდივიდუალურად შემუშავებული სესხის დაფარვის გრაფიკი;
- ე) ბენეფიციარი – საქართველოს მოქალაქე სრულწლოვანი ფიზიკური პირი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური/იურიდიული პირი, რომელშიც სახელმწიფო არ ფლობს წილს/პაის/აქციას და რომელთანაც გაფორმებულია თანადაფინანსების ხელშეკრულება და/ან თანადაფინანსების შეთანხმება;

ვ) ბიზნესგეგმა – პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია პროექტით განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია;

ზ) განაცხადი – პოტენციური ბენეფიციარის მიერ სააგენტოში წარდგენილი განაცხადი თანადაფინანსების მიღების შესახებ;

თ) თავდაპირველი სესხი – პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხი, რომელიც გაიცა მის რეფინანსირებამდე;

ი) თანადაფინანსება – პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ პროგრამის ბენეფიციარზე გასაცემი ფულადი სახსრები, მათ შორის, სესხის თანადაფინანსება;

კ) თანადაფინანსების შეთანხმება – სააგენტოს, ბენეფიციარსა და საფინანსო ინსტიტუტს შორის გაფორმებული მიზნობრივი თანადაფინანსების შეთანხმება;

ლ) იმპლემენტი – ხე-ტყის დამამზადებელი ტექნიკისათვის განკუთვნილი მისაბმელი, რომლის დანიშნულებაც დასტურდება სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გაცემული ცნობით;

მ) კაპიტალური ხარჯები – პროექტის ფარგლებში ბენეფიციარის მიერ ძირითადი საშუალებების შესაძენად/შესაქმნელად გაწეული ხარჯები, მათ შორის, მუშახელის შრომის, ტრანსპორტირების, კომუნიკაციების მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები;

ნ) ლაბორატორია – სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებულ ორგანოთა რეესტრში მოქმედი სტატუსის მქონე პირი, რომელსაც აკრედიტაციის სფეროდ განსაზღვრული აქვს წყლის და/ან ნიადაგის ლაბორატორიული ანალიზის განხორციელება;

ო) მარიკულტურა – წყლის ბიოლოგიური ორგანიზმების კულტივირება ზღვის წყალში;

პ) მსხვილფეხა პირუტყვი – ძროხა ან/და კამეჩი;

ჟ) მტკნარი წყლის აკვაკულტურა – წყლის ბიოლოგიური ორგანიზმების კულტივირება მტკნარ წყალში;

რ) მცურავი (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთი – სესხის საპროცენტო განაკვეთი, რომლის მოცულობაც პერიოდულად იცვლება სესხის ვადის განმავლობაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებასთან ერთად;

ს) პარალელური სესხი – ერთი ბენეფიციარის მიერ ორი ან მეტი დაუფარავი სესხი ერთი კომპონენტის ან ერთი ქვეკომპონენტის ფარგლებში;

ტ) პოტენციური ბენეფიციარი – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური/იურიდიული პირი (გარდა გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტისა და შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისათვის ერთწლოვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტისა), რომელშიც სახელმწიფო არ ფლობს წილს/პაის/აქციას და რომელთანაც შესაძლოა, გაფორმდეს თანადაფინანსების ხელშეკრულება და/ან თანადაფინანსების შეთანხმება;

უ) პროექტი – პოტენციური ბენეფიციარის მიერ განაცხადით წარმოდგენილი პროექტი, რომელიც შესაძლებელია, დააფინანსოს სააგენტომ;

ფ) რესტრუქტურიაზაცია – სესხის დაფარვის გრაფიკში ცვლილების შეტანა, მათ შორის, რეფინანსირების გზით (რესტრუქტურიაზაციად არ მიიჩნევა სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება);

ქ) რეფინანსირების განაკვეთი – საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტი და ერთგვარი ორიენტირი ფულადი საბაზრო განაკვეთებისათვის;

- დ) საბრუნავი საშუალება – ის მიმდინარე აქტივი, რომლის ფულად ქცევა შესაძლებელია ერთი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ყ) სასაკლაო – სასურსათო დანიშნულების ცხოველების დაკვლისთვის განკუთვნილი ობიექტი;
- შ) საპროცენტო განაკვეთი – საფინანსო ინსტიტუტის მიერ განსაზღვრული სესხის ძირითად თანხაზე დარიცხვის განაკვეთი;
- ჩ) საფინანსო ინსტიტუტი – პროგრამის ფარგლებში მონაწილე საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკ(ებ)ი;
- ც) სერტიფიცირებული სარგავი მასალა – ნერგი, რომელსაც გავლილი აქვს სერტიფიცირების პროცედურები და ეტიკეტირებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან რომელსაც გააჩნია საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სხვა ქვეყნის (ევროკავშირის წევრი ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, კანადის, ამერიკის შეერთებული შტატების) შესაბამისობის შეფასების დოკუმენტი (სერტიფიკატი) და ნიშანდება (ეტიკეტი);
- ძ) სესხი – პროგრამის ფარგლებში საფინანსო ინსტიტუტის მიერ განსაზღვრული ვადითა და პირობებით გაცემული ფულადი თანხა;
- წ) სესხის გაცემის (მომსახურების) საკომისიო – საფინანსო ინსტიტუტის მიერ დაწესებული ტარიფი, რომელსაც ბენეფიციარი იხდის სესხის გაცემასთან დაკავშირებული მომსახურებისთვის;
- ჭ) სესხის დაფარვის გრაფიკი – სესხის თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის წინასწარ განსაზღვრული მოცულობითა და პერიოდულობით დაფარვის განრიგი;
- ხ) სესხის ვადა – საფინანსო ინსტიტუტსა და ბენეფიციარს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის მოქმედების ვადა;
- ჯ) სესხის თანადაფინანსება – სააგენტოს მიერ ბენეფიციარისთვის სესხზე გადახდილი მიზნობრივი თანხები;

3) სესხის მიზნობრიობა – პროგრამის კონკრეტული კომპონენტით/ქვეკომპონენტით განსაზღვრული სესხის გაცემის მიზანი;

3¹) სეზონი – ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ყურძნის მიღება-გადამუშავების პერიოდი;

3²) საშელავათო პერიოდი – პერიოდი, რომლის განმავლობაში ბენეფიციარს სავალდებულო წესით არ მოეთხოვება სესხის ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტის და/ან სესხის ძირითადი თანხის გადახდა;

3³) სესხის რეფინანსირება – ბენეფიციარის მიერ საკუთარი მიმდინარე სესხის მთლიანი ან ნაწილობრივი დაფარვა იმავე ან სხვა საფინანსო ინსტიტუტიდან მიღებული ახალი სესხით;

3⁴) ტექნიკა – ხე-ტყის დამამზადებელი ტექნიკა, რომლის დანიშნულებაც დასტურდება სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გაცემული ცნობით;

3⁵) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი – სესხის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც უცვლელია სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში;

3⁶) ცენტრი – სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;

3⁷) ძირითადი საშუალება – მატერიალური აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის და/ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის, რომლის გამოყენების ვადა ერთ წელზე მეტია;

3⁸) წვრილფეხა პირუტყვი – ცხვარი ან/და თხა;

3⁹) წყლის ობიექტი – ბუნებრივი ან ხელოვნური წყალსატევი, რომელშიც ხორციელდება თევზსამეურნეო საქმიანობა;

3¹⁰) ხელშეკრულება – სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული თანადაფინანსების ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში მხარეთა მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს.

მუხლი 5. პროგრამის გავრცელების არეალი

1. პირველადი წარმოების თანადაფინანსების, შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის (გარდა ხე-ტყის დამამზადებელი მექანიზაციისთვის ქვეკომპონენტისა), შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის და სასაკლავო მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტების ფარგლებში გავრცელების გეოგრაფიული არეალია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი.

2. გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის განხორციელების გეოგრაფიული არეალია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა, ამასთან:

ა) გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში, ენერგოეფექტური ღუმელების წარმოება ფინანსდება საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში;

ბ) შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის მარცვლეულის შემნახველი საწარმოს დაფინანსება შესაძლებელია ქ. ბათუმსა და ქ. ფოთში.

3. შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის კომპონენტის ხე-ტყის დამამზადებელი მექანიზაციისთვის ქვეკომპონენტის განხორციელების გეოგრაფიული არეალია ახმეტის, დედოფლისწყაროს, ყვარლის, თელავის, თიანეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტები.

მუხლი 6. პროგრამის თანადაფინანსების ზოგადი პირობები

1. პროგრამის ფარგლებში დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი პროექტით გათვალისწინებული კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება (გარდა შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის კომპონენტისა).

2. პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი პროექტის ჯამური ღირებულება უნდა მოიცავდეს პროგრამის ფარგლებში დასაშვები ხარჯების

მთლიან ოდენობას და განისაზღვრება პროგრამის იმ კომპონენტის/ ქვეკომპონენტის/მიმართულების შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც ხდება პროექტის წარდგენა.

3. პროგრამის ფარგლებში სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა ჯამურად პროგრამის ყველა კომპონენტისათვის (გარდა პირველადი წარმოების თანადაფინანსების კომპონენტის მსხვილფეხა მეცხოველეობის ფერმის მოწყობის ქვეკომპონენტის – მერძეული, მეხორცული, კომბინირებული ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვის ახალი ფერმის მოწყობის ან არსებული ფერმის გაფართოების და/ან მოდერნიზების მიმართულების მერძეული ჯიშის შემთხვევაში, შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის კომპონენტისა და შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის კომპონენტის ხე-ტყის დამამზადებელი მექანიზაციისთვის ქვეკომპონენტისა) განისაზღვრება არაუმეტეს 2 000 000 ლარისა:

ა) პროგრამის ყველა კომპონენტისთვის (გარდა გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტისა) წარდგენილი პროექტის ჯამური თანხის არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 55%-ის ოდენობით;

ბ) გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტისთვის წარდგენილი პროექტის ჯამური თანხის არაუმეტეს 40%-ის ოდენობით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 45%-ის ოდენობით.

4. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია, დაფინანსდეს აუდიტორული დასკვნის საფასური (გარდა შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის კომპონენტისა) არაუმეტეს პროექტის ღირებულების 1%,

მაგრამ არაუმეტეს 20 000 ლარისა, რომლის ღირებულებაც გათვალისწინებული იქნება ბენეფიციარზე გასაცემი ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სააგენტოს თანადაფინანსების ლიმიტში.

5. პროგრამის ფარგლებში პოტენციურ ბენეფიციარს/ბენეფიციარს შეუძლია, ისარგებლოს ყველა კომპონენტით გათვალისწინებული თანადაფინანსებით, პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი თანადაფინანსების ლიმიტ(ებ)ის ამოწურვამდე.

6. ბენეფიციარის მიერ პროექტით გათვალისწინებული ნებისმიერი შესყიდვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური ან/და იურიდიული პირისაგან ან/და იმპორტის გზით, ხოლო მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში, შესაძლებელია, განხორციელდეს ფიზიკური პირისგან შესყიდვაც (გარდა გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტისა).

7. შესასყიდი ძირითადი საშუალებები (დანადგარი/აღჭურვილობა/ ტექნიკა/იმპლემენტი) უნდა იყოს ახალი (ექსპლუატაციაში არმყოფი).

8. პოტენციური ბენეფიციარის/ბენეფიციარის მიერ შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის კომპონენტით (გარდა ხე-ტყის დამამზადებელი მექანიზაციისთვის ქვეკომპონენტისა) სარგებლობის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ბენეფიციარისთვის ფაქტობრივად გადახდილი/გადასახდელი სესხის საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსების ოდენობა გამოაკლდება პროექტის ფარგლებში ბენეფიციარისთვის გასაცემ თანადაფინანსების თანხას.

9. პროგრამის პირველადი წარმოების თანადაფინანსების კომპონენტის მრავალწლოვანი კულტურების გაშენების ქვეკომპონენტის ფარგლებში, კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე და/ან მის ნაწილზე, აგრეთვე იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც წარმოიქმნა აღნიშნული ნაკვეთის დაყოფის და/ან

გაერთიანების შედეგად, მიუხედავად მათი შემდგომი დაყოფისა და/ან გაერთიანებისა, მონაწილეობის მიღება დასაშვებია არაუმეტეს ორჯერ, იმ პირობით, რომ თითოეულ შემთხვევაში სრულად არის შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და აღნიშნული შესრულება დადასტურებულია სააგენტოს მიერ, ხოლო თითოეულ მონაწილეობის შემთხვევებს შორის დაცულია არანაკლებ ხუთწლიანი შუალედი, რომელიც აითვლება წინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურების თარიღიდან.

10. პოტენციური ბენეფიციარი/ბენეფიციარი ვერ მიიღებს პროგრამაში მონაწილეობას/თანადაფინანსებას, თუ თავად პოტენციური ბენეფიციარი/ბენეფიციარი, მისი დამფუძნებელი, მეპაიე ან აქციონერი ფლობს წილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იმ იურიდიულ პირში, რომელიც პროექტის ფარგლებში წარმოადგენს შესაბამისი საქონლის და/ან მომსახურების მიმწოდებელს, ან თუ თავად ინდივიდუალური მეწარმე წარმოაჩენს საკუთარ თავს საქონლის და/ან მომსახურების მიმწოდებლად, ასევე, თუ პოტენციური ბენეფიციარი/ბენეფიციარი ან მისი წარმომადგენელი არის ხელმძღვანელი საქონლის და/ან მომსახურების მიმწოდებელ კომპანიაში.

მუხლი 7. პროგრამის ზოგადი ვალდებულებები

1. ბენეფიციარი ვალდებულია (გარდა შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებების კომპონენტისა), სააგენტოს მიერ თანადაფინანსების გაცემის დღიდან 3 წლის განმავლობაში არ მოახდინოს პროექტის ფარგლებში შექმნილი და დაფინანსებული ქონების (მისი ნაწილის ან მასთან დაკავშირებული აქტივების, ასევე მიწის ნაკვეთის, რომელზეც განხორციელდა პროექტი) გასხვისება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ბენეფიციარი ვალდებულია, უზრუნველყოს პროექტის ფუნქციონირება მხოლოდ იმ

მიზნობრიობისა და პროფილის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია პროგრამით და/ან ხელშეკრულებით.

3. მშენებლობის შემთხვევაში, ბენეფიციარი ვალდებულია, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს პროექტის ფარგლებში შექმნილი შენობა/ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების აქტი.

4. ბენეფიციარი ვალდებულია (გარდა შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებების კომპონენტისა და შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისათვის კომპონენტის ხე-ტყის დამამზადებელი მექანიზაციისთვის ქვეკომპონენტისა), უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდულობით ინფორმაციის სააგენტოსთვის წარდგენა პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო წყვეტს ხელშეკრულებას და ბენეფიციარი ვალდებულია, უზრუნველყოს მიღებული თანადაფინანსების თანხის დაბრუნება.

6. ამ მუხლის მე-2 და/ან მე-3 და/ან მე-4 პუნქტების დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო წყვეტს ხელშეკრულებას და ბენეფიციარი ვალდებულია, უზრუნველყოს მიღებული თანადაფინანსების თანხის დაბრუნება ან სააგენტო უფლებამოსილია, განუსაზღვროს ბენეფიციარს დამატებითი ვადა ვალდებულების შესასრულებლად.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადა გახანგრძლივდება ამ მუხლის მე-6 პუნქტით ბენეფიციარისთვის განსაზღვრული დამატებითი ვადის შესაბამისად.

მუხლი 8. პროექტის განხორციელების ვადა

1. ბენეფიციარის მიერ პროექტის შესრულების ვადას განსაზღვრავს სააგენტო, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვეს (გარდა გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების, შეღავათიანი აგროკრედიტის საბრუნავი

საშუალებებისათვის კომპონენტებისა და შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისათვის კომპონენტის ხე-ტყის დამამზადებელი მექანიზაციისთვის ქვეკომპონენტისა).

2. გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარის მიერ პროექტის შესრულების ვადას განსაზღვრავს სააგენტო, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 თვეს.

3. ბენეფიციართან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განისაზღვრება პროექტის შესრულების კონკრეტული ვადა, რომლის ცვლილება დასაშვებია სააგენტოს თანხმობის შემდეგ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. შესრულების ვადა არ შეიძლება, აღემატებოდეს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ მაქსიმალურ ვადებს.

4. ამ მუხლით განსაზღვრულ ვადებში პროექტის შეუსრულებლობის შემთხვევაში სააგენტო წყვეტს ბენეფიციართან გაფორმებულ ხელშეკრულებას.

მუხლი 9. პოტენციური ბენეფიციარის შესაბამისობის კრიტერიუმები

1. მიწის ნაკვეთი ან/და წყლის ობიექტი, სადაც იგეგმება პროექტის განხორციელება, პოტენციურ ბენეფიციარს უნდა გააჩნდეს საკუთრებაში ან თანასაკუთრებაში, რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ან/და მიღებული უნდა ჰქონდეს სახელმწიფოსგან/მუნიციპალიტეტის ორგანოსგან/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან გრძელვადიანი იჯარით. იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 წელს და რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. მიწის ნაკვეთს არ უნდა ედოს ყადაღა, ასევე, სახელმწიფოსგან საპრივატიზებო პირობებით შეძენის შემთხვევაში, საპრივატიზებო პირობები უნდა იყოს სრულად შესრულებული და მიწის ნაკვეთი უნდა წარმოადგენდეს შემძენის უპირობო საკუთრებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ ვრცელდება პირველადი წარმოების თანადაფინანსების კომპონენტის მტკნარი წყლის აკვაკულტურის/ მარიკულტურის მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტის მარიკულტურის მეურნეობის მოწყობის შემთხვევაში, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტზე, შეღავათიანი აგროკრედიტის საბრუნავი საშუალებებისთვის კომპონენტზე და შეღავათიანი აგროკრედიტის ძირითადი საშუალებებისთვის კომპონენტის ხე-ტყის დამამზადებელი მექანიზაციისთვის ქვეკომპონენტზე.

3. საფუტკრე მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტის ფარგლებში სკების (ოჯახების) განთავსება დროებით შესაძლებელია პროექტით განსაზღვრული მიწის ნაკვეთისაგან განსხვავებულ ადგილას.

4. პოტენციური ბენეფიციარი (გარდა შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის კომპონენტისა და შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის კომპონენტის ხე-ტყის დამამზადებელი მექანიზაციისთვის ქვეკომპონენტისა) რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში.

5. პოტენციურ ბენეფიციარს არ უნდა გააჩნდეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე ან საგადასახადო დავალიანების ოდენობა არ აღემატება 1000 ლარს).

6. პოტენციური ბენეფიციარი რეგისტრირებული უნდა იყოს ფერმერული მეურნეობებისა და სოფლად არსებული საწარმოების რეესტრში.

მუხლი 10. განაცხადის განხილვის, თანადაფინანსების დამტკიცებისა და გაცემის პროცედურა

1. პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილი განაცხადის განხილვა ხორციელდება შესაბამისი კომპონენტის ან/და ქვეკომპონენტით/ მიმართულებით გათვალისწინებული პირობების, შერჩევის კრიტერიუმებისა და ადგილზე კონტროლის პროცედურის შესაბამისად.

2. თანადაფინანსების მისაღებად ბენეფიციარმა უნდა მიმართოს სააგენტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და წარმოადგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი აუდიტორული დასკვნა.

3. მშენებლობის შემთხვევაში, ბენეფიციარი ვალდებულია, თანადაფინანსების გაცემამდე წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული მშენებლობის ნებართვა.

4. თანადაფინანსება გაიცემა მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება დადასტურდება წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნითა და სააგენტოს მიერ ადგილზე კონტროლის განხორციელებით, ამასთან, არანაკლებ 200 000 ლარის ღირებულების სამშენებლო/სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემთხვევაში, შესრულებული სამუშაოების ღირებულება უნდა დასტურდებოდეს სსიპ – აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებული პირის ან სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნით.

5. ბენეფიციარი ვალდებულია, თანადაფინანსების გაცემამდე, იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ღირებულება შეადგენს არანაკლებ 500 000 ლარს, ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც განხორციელდა პროექტი (გარდა პირველადი წარმოების თანადაფინანსების კომპონენტის მტკნარი წყლის აკვაკულტურის/ მარიკულტურის მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტის მარიკულტურის მეურნეობის მოწყობის, შეღავათიანი აგროკრედიტის საბრუნავი საშუალებებისთვის კომპონენტის, შეღავათიანი აგროკრედიტის ძირითადი

საშუალებებისთვის კომპონენტის ხე-ტყის დამამზადებელი მექანიზაციისთვის ქვეკომპონენტისა და სახელმწიფო იჯარის შემთხვევაში), იპოთეკით დატვირთოს სააგენტოს სასარგებლოდ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების ვადით. ამავდროულად, დასაშვებია, სააგენტოს იპოთეკა იყოს რიგით მეორე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველი რიგის იპოთეკარია სესხის გამცემი ბანკი.

6. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას, განაცხადების მიღების, განხილვის, თანადაფინანსების დამტკიცებისა და გაცემის პროცედურას ამტკიცებს სააგენტო.

7. ადგილზე კონტროლის პროცედურას ამტკიცებს სააგენტო.

8. სააგენტო უფლებამოსილია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში განახორციელოს ადგილზე კონტროლი და დოკუმენტური მონიტორინგი.

თავი II

პირველადი წარმოების თანადაფინანსების კომპონენტი

მუხლი 11. ზოგადი დებულებები

1. პირველადი წარმოების თანადაფინანსების კომპონენტი ითვალისწინებს ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი რესურსების გამოყოფას თანადაფინანსების სახით, პროგრამითა და ამ კომპონენტით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

2. პირველადი წარმოების თანადაფინანსების კომპონენტი ითვალისწინებს:

- ა) მრავალწლოვანი კულტურების გაშენების ქვეკომპონენტს;
- ბ) სასათბურე მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტს;
- გ) მსხვილფეხა მეცხოველეობის ფერმის მოწყობის ქვეკომპონენტს;
- დ) წვრილფეხა მეცხოველეობის ფერმის მოწყობის ქვეკომპონენტს;
- ე) მეფრინველეობის ფერმის მოწყობის ქვეკომპონენტს;

ვ) საფუტკრე მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტს;

ზ) მტკნარი წყლის აკვაკულტურის და/ან მარიკულტურის მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტს.

მუხლი 12. მრავალწლოვანი კულტურების გაშენების ქვეკომპონენტის მიმართულებები და თანადაფინანსების პირობები

1. მრავალწლოვანი კულტურების გაშენების ქვეკომპონენტი ითვალისწინებს შემდეგი მიმართულებების თანადაფინანსებას:

- ა) მრავალწლოვანი ბაღების;
- ბ) სეტყვისაგან დამცავი სისტემების;
- გ) ჭის/ჭაბურღილის მოწყობის;
- დ) წყინვის საწინააღმდეგო სისტემების.

2. მრავალწლოვანი კულტურების გაშენების ქვეკომპონენტის შემთხვევაში, პროექტის ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 100 000 ლარს.

3. მრავალწლოვანი კულტურების გაშენების ქვეკომპონენტის მიმართულებების მოწყობის ღირებულებები განსაზღვრულია „მრავალწლოვანი კულტურების გაშენების ქვეკომპონენტის მიმართულებების მოწყობის ღირებულებები და სერტიფიცირებული სარგავი მასალის მახასიათებლები“ – დანართ №1-ით.

4. მრავალწლოვანი კულტურების გაშენების ქვეკომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება „მრავალწლოვანი კულტურების გაშენების ქვეკომპონენტის ფარგლებში დასაფინანსებელი ხარჯები“ – დანართ №2-ით განსაზღვრული ხარჯები.

5. მრავალწლოვანი კულტურების გაშენების ქვეკომპონენტის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და

მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 55%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 2 000 000 ლარისა.

მუხლი 13. მრავალწლოვანი კულტურების გაშენების ქვეკომპონენტის კრიტერიუმები და ვალდებულებები

1. მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსების მიმართულების ფარგლებში:

ა) სავალდებულოა სერტიფიცირებული სარგავი მასალის გაშენება და წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა;

ბ) მოთხოვნილი სერტიფიცირებული სანერგე მასალის მახასიათებლები განსაზღვრულია დანართ №1-ით;

გ) მრავალწლოვანი კულტურების სახეობები, რომლებიც შესაძლებელია, გაშენდეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, განსაზღვრულია „მრავალწლიანი კულტურები ნუსხა დასაშვები გასაშენებელი რეგიონების მიხედვით“ – დანართ №3-ით;

დ) მრავალწლოვანი ბაღი უნდა მოეწყოს არანაკლებ 1 ჰა-ზე;

ე) მიწის ნაკვეთი უნდა იყოს უზრუნველყოფილი წყლით ან მიწის ნაკვეთის გარე პერიმეტრიდან არაუმეტეს 500 მეტრის დაშორებით უნდა არსებობდეს პერმანენტული წყლის წყარო: ტბა, მდინარე, არხი, ან მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე უნდა იყოს ჭა ან ჭაბურღილი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ პროექტით გათვალისწინებულია ჭის/ჭაბურღილის მოწყობა);

ვ) შესაძლებელია, მიწის ნაკვეთები, რომლებზეც უნდა განხორციელდეს პროექტი, რეგისტრირებული იყოს სხვადასხვა საკადასტრო კოდით, თუ ვერ ხერხდება მათი გაერთიანება გეოგრაფიული მდებარეობის და/ან სხვა ფაქტორის გამო და მათზე მოეწყოს ერთიანი სარწყავი სისტემა. ერთიანი სარწყავი სისტემა უნდა ემსახურებოდეს ერთ ან რამდენიმე მიწის ნაკვეთზე გაშენებულ მრავალწლოვან ბაღს და მისი კომპლექტაცია უნდა შედგებოდეს

ერთი ტუმბოსა და წყლის დაგროვების ერთი ავზისგან, ასევე სხვა მაკომპლექტებლებისგან;

ზ) მიწის ნაკვეთის წყლით უზრუნველყოფის კრიტერიუმებსა და მეთოდოლოგიას შეიმუშავებს ცენტრი და ამტკიცებს სააგენტო;

თ) პროექტით გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი კულტურების სერტიფიცირებული სარგავი მასალის 1 ჰა-ზე დასარგავი მინიმალური რაოდენობა, „სერტიფიცირებული სარგავი მასალის 1 ჰა-ზე დასარგავი მინიმალური რაოდენობა მრავალწლოვანი კულტურების მიხედვით“ – დანართ №4-ის შესაბამისად;

ი) მიწის ნაკვეთებზე, რომელზეც დაგეგმილია პროექტის განხორციელება, უნდა იქნეს წარმოდგენილი ცენტრის მიერ გაცემული ცნობა პროექტით გათვალისწინებული ყველა კულტურისათვის ნაკვეთის ნიადაგის ვარგისობისა და შესაბამისობის შესახებ, რომელიც გაიცემა ლაბორატორიული დასკვნის საფუძველზე (გარდა ქოთნებში გასაშენებელი ლურჯი მოცვისა);

კ) ცენტრი განსაზღვრავს და სააგენტო ამტკიცებს ნიადაგის ვარგისობისა და შესაბამისობისათვის საჭირო ჩასატარებელი ანალიზების ჩამონათვალს;

ლ) ბენეფიციარი ვალდებულია, თანადაფინანსების გაცემამდე უზრუნველყოს შესაბამისი ნერგების, სულ მცირე, 90%-იანი გახარების მაჩვენებელი.

2. ჭის/ჭაბურღილის მოწყობის თანადაფინანსების მიმართულების ფარგლებში:

ა) ერთი პროექტის შემთხვევაში ფინანსდება ერთი ჭა/ჭაბურღილი;

ბ) ჭის/ჭაბურღილის მოწყობისათვის თანადაფინანსება გაიცემა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბენეფიციარის მიერ წარდგენილი იქნება სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან აუდიტის დასკვნა, რითაც დადასტურდება ჭის/ჭაბურღილის მოწყობის მიზნობრიობის შესრულება, ჭის/ჭაბურღილის წყლის საკმარისი დებეტის

არსებობის ფაქტი, ასევე ლაბორატორიის დასკვნის საფუძველზე ცენტრის მიერ გაცემული ცნობა წყლის სარწყავი მიწებისთვის ვარგისობის შესახებ;

გ) ცენტრი განსაზღვრავს და სააგენტო ამტკიცებს ჭიდან/ჭაბურღილიდან მისაღები წყლის საჭირო დებეტსა და სარწყავი წყლის ხარისხის შეფასების მახასიათებლებს;

დ) ჭის/ჭაბურღილის მოწყობის თანადაფინანსება გაიცემა მას შემდეგ, რაც წარდგენილი იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზია/ნებართვა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შესახებ.

3. არსებულ მრავალწლოვან ბაღებზე ამ პროგრამის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ – „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მიმართულებების დაფინანსების შემთხვევაში, მრავალწლოვანი ბაღი უნდა იყოს გაშენებული მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსების მიმართულების კრიტერიუმების შესაბამისად და მოწყობილი იყოს წვეთოვანი სარწყავი სისტემა.

მუხლი 14. სასათბურე მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტის თანადაფინანსების პირობები

1. სასათბურე მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტის ფარგლებში ფინანსდება „სასათბურე მეურნეობის მოწყობის შესაბამისობის კრიტერიუმები“ – დანართ №5-ით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად ახალი სასათბურე მეურნეობის მოწყობა, რომელიც განკუთვნილია ბოსტნეულის, მარწყვისა და ყვავილების წარმოებისთვის.

2. სასათბურე მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება „სასათბურე მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტის ფარგლებში დასაფინანსებელი ხარჯები“ – დანართ №6-ით განსაზღვრული ხარჯები.

3. სასათბურე მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტის ფარგლებში პროექტის ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 100 000 ლარს,

ხოლო სასათბურე მეურნეობის მოწყობის 1 კვ/მ ღირებულების ჯამური ოდენობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 300 ლარს.

4. სასათბურე მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტის ფარგლებში სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების ან მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 55%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 2 000 000 ლარისა.

5. სასათბურე მეურნეობა უნდა მოეწყოს არანაკლებ 0.05 ჰა-ზე.

მუხლი 15. მსხვილფეხა მეცხოველეობის ფერმის მოწყობის ქვეკომპონენტის მიმართულებები და თანადაფინანსების პირობები

1. მსხვილფეხა მეცხოველეობის ფერმის მოწყობის ქვეკომპონენტი ითვალისწინებს შემდეგი მიმართულებების თანადაფინანსებას:

ა) მერძეული, მეხორცული, კომბინირებული ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვის ახალი ფერმის მოწყობას ან არსებული ფერმის გაფართოებას და/ან მოდერნიზებას;

ბ) სასუქი მსხვილფეხა პირუტყვის ახალი ფერმის მოწყობას.

2. მერძეული, მეხორცული ან კომბინირებული ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვის ახალი ფერმის მოწყობის შემთხვევაში, პროექტის ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 100 000 ლარს, ხოლო არსებული ფერმის გაფართოების და/ან მოდერნიზების შემთხვევაში – არანაკლებ 50 000 ლარს.

3. მერძეული, მეხორცული, კომბინირებული ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვის ახალი ფერმის მოწყობის ან არსებული ფერმის გაფართოების და/ან მოდერნიზების შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების,

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 55%-ის ოდენობით, მერძეული ჯიშის შემთხვევაში – არაუმეტეს 10 000 000 ლარისა, ხოლო მეხორცული, კომბინირებული ჯიშის შემთხვევაში – არაუმეტეს 2 000 000 ლარისა.

4. მერძეული, მეხორცული, კომბინირებული ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვის ახალი ფერმის მოწყობის ან არსებული ფერმის გაფართოების და/ან მოდერნიზების შემთხვევაში, ფერმის მოსაწყობად და მსხვილფეხა პირუტყვის შესაძენად პროექტის ჯამური ღირებულება ერთ სულ ფურზე/უშობელზე გადაანგარიშებით, არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს, მათ შორის, მსხვილფეხა პირუტყვის შესაძენად – არაუმეტეს 11 000 ლარს.

5. მერძეული, მეხორცული, კომბინირებული ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვის ახალი ფერმის მოწყობის შემთხვევაში, დაფინანსდება „მერძეული, მეხორცული, კომბინირებული ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვის ახალი ფერმის მოწყობის კრიტერიუმები და დასაფინანსებელი ხარჯები“ – დანართ №7-ით განსაზღვრული ხარჯები.

6. მერძეული, მეხორცული, კომბინირებული ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვის არსებული ფერმის გაფართოების და/ან მოდერნიზების შემთხვევაში, დაფინანსდება „მერძეული, მეხორცული, კომბინირებული ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვის არსებული ფერმის მოდერნიზაცია/ გაფართოების კრიტერიუმები და დასაფინანსებელი ხარჯები“ – დანართ №8-ით განსაზღვრული ხარჯები.

7. სასუქი მსხვილფეხა პირუტყვის ახალი ფერმის მოწყობის შემთხვევაში, პროექტის ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 100 000 ლარს.

8. სასუქი მსხვილფეხა პირუტყვის ახალი ფერმის მოწყობის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება პროექტის ჯამური ღირებულების 50%-ის ოდენობით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი

დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 55%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1 000 000 ლარისა.

9. სასუქი მსხვილფეხა პირუტყვის ახალი ფერმის მოწყობის შემთხვევაში, ფერმის მოსაწყობად პროექტის ჯამური ღირებულება, ერთ სულ მსხვილფეხა პირუტყვზე გადაანგარიშებით, არ უნდა აღემატებოდეს 2000 ლარს.

10. სასუქი მსხვილფეხა პირუტყვის ახალი ფერმის მოწყობის შემთხვევაში დაფინანსდება „სასუქი მსხვილფეხა პირუტყვის ახალი ფერმის მოწყობის კრიტერიუმები და დასაფინანსებელი ხარჯები“ – დანართ №9-ით განსაზღვრული ხარჯები.

მუხლი 16. მერძეული, მეხორცული, კომბინირებული ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვის ახალი ფერმის მოწყობის ან არსებული ფერმის გაფართოების და/ან მოდერნიზების მიმართულების კრიტერიუმები და ვალდებულებები

1. მერძეული, მეხორცული, კომბინირებული ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვის მიმართულების შემთხვევაში:

ა) ახალი ფერმის მოწყობა დასაშვებია დანართ №7-ით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;

ბ) მსხვილფეხა პირუტყვის შეძენა დასაშვებია №7-№8 დანართებით განსაზღვრული ჯიშ(ებ)ის შესაბამისად;

გ) არსებული ფერმის მოდერნიზაციის და/ან გაფართოების კრიტერიუმები განსაზღვრულია დანართ №8-ის შესაბამისად.

2. მერძეული, მეხორცული, კომბინირებული ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვის ახალი ფერმის მოწყობის ან არსებული ფერმის გაფართოების და/ან მოდერნიზების შემთხვევაში, ბენეფიციარი ვალდებულია, თანადაფინანსების გაცემამდე შეიძინოს და/ან იყოლიოს არანაკლებ 25 უშობელი და/ან ფური მსხვილფეხა პირუტყვი, №7-№8 დანართებით განსაზღვრული ჯიშ(ებ)ის შესაბამისად.

3. მსხვილფეხა პირუტყვის შეძენა უნდა განხორციელდეს ცენტრის მიერ დადგენილი სანაშენე სტატუსის მქონე ფერმებიდან და/ან იმპორტის გზით, რომლებსაც უნდა გააჩნდეს შესაბამისი პასპორტი (სანაშენე ბარათი).

4. კუროს შეძენა დასაშვებია მხოლოდ მეხორცული მიმართულების შემთხვევაში, პროპორციით – 30 ფურზე/1 კურო.

5. ბენეფიციარი ვალდებულია:

ა) თანადაფინანსების გაცემამდე კუთვნილი მსხვილფეხა პირუტყვი დაარეგისტრიროს საქართველოს ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნულ სისტემაში (NAITS);

ბ) თანადაფინანსების გაცემიდან 3 წლის განმავლობაში შეინარჩუნოს თანადაფინანსების გაცემამდე არსებული მსხვილფეხა პირუტყვის ჯამური სულადობა, ხოლო მსხვილფეხა პირუტყვის დაკვლის ან დაცემის შემთხვევაში, თავად უზრუნველყოს შესაბამისი ჯიშებით ჩანაცვლება და ყოველწლიურად უზრუნველყოს თანადაფინანსების გაცემამდე არსებული მსხვილფეხა პირუტყვის სულადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

მუხლი 17. სასუქი მსხვილფეხა პირუტყვის ახალი ფერმის მოწყობის მიმართულების კრიტერიუმები და ვალდებულებები

1. სასუქი მსხვილფეხა პირუტყვის ახალი ფერმის მოწყობის მიმართულების მიზნობრიობაა ღია და/ან დახურული ტიპის ფერმის/სადგომის მოწყობა, დანართ №9-ით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

2. ბენეფიციარი ვალდებულია:

ა) თანადაფინანსების გაცემამდე იყოლიოს არანაკლებ 100 მსხვილფეხა მოზარდი პირუტყვი;

ბ) თანადაფინანსების გაცემამდე მოაწყოს არანაკლებ 100 მოზარდი მსხვილფეხა პირუტყვისთვის ფერმა, დანართ №9-ით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;

გ) თანადაფინანსების გაცემამდე კუთვნილი მსხვილფეხა პირუტყვი დაარეგისტრიროს საქართველოს ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნულ სისტემაში (NAITS);

დ) თანადაფინანსების გაცემის შემდეგ სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად უზრუნველყოს თანადაფინანსების გაცემამდე არსებული მსხვილფეხა მოზარდი პირუტყვის სულადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

მუხლი 18. წვრილფეხა მეცხოველეობის ფერმის მოწყობის ქვეკომპონენტის თანადაფინანსების პირობები

1. წვრილფეხა მეცხოველეობის ფერმის მოწყობის ქვეკომპონენტი ითვალისწინებს წვრილფეხა პირუტყვის ახალი ფერმის მოწყობის დაფინანსებას, „წვრილფეხა მეცხოველეობის ფერმის მოწყობის კრიტერიუმები და დასაფინანსებელი ხარჯები“ – დანართ №10-ით განსაზღვრული ხარჯების შესაბამისად.

2. პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი პროექტის ჯამური თანხა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 000 ლარს.

3. პოტენციურ ბენეფიციარს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 0.1 ჰა საძოვარი, ერთ სულზე (ნეზვი/ნერბი) გადაანგარიშებით, საკუთრებაში და/ან იჯარის უფლებით, რომლის დარჩენილი პერიოდიც უნდა შეადგენდეს არანაკლებ 5 წელს.

4. წვრილფეხა მეცხოველეობის ახალი ფერმის მოწყობის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 55%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1 000 000 ლარისა.

5. წვრილფეხა მეცხოველეობის ახალი ფერმის მოწყობის შემთხვევაში, ფერმის მოსაწყობად პროექტის ჯამური ღირებულება, ერთ სულ წვრილფეხა პირუტყვზე გადაანგარიშებით, არ უნდა აღემატებოდეს ცხვრის (ნერბი) შემთხვევაში – 400 ლარს, ხოლო მერძეული მიმართულების ცხვრის/თხის (ნერბი/ნეზვი) შემთხვევაში – 1000 ლარს.

მუხლი 19. წვრილფეხა მეცხოველეობის ფერმის მოწყობის ქვეკომპონენტის კრიტერიუმები და ვალდებულებები

1. წვრილფეხა მეცხოველეობის ახალი ფერმის/ფარეხის ღია და/ან დახურული ტიპის მოწყობა დასაშვებია დანართ №10-ით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

2. ბენეფიციარი ვალდებულია:

ა) თანადაფინანსების გაცემამდე იყოლიოს არანაკლებ 1000 ნერბი ან არანაკლებ 150 ნეზვი;

ბ) თანადაფინანსების გაცემამდე კუთვნილი წვრილფეხა პირუტყვი დარეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნულ სისტემაში (NAITS);

გ) თანადაფინანსების გაცემის შემდეგ სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად უზრუნველყოს თანადაფინანსების გაცემამდე არსებული წვრილფეხა პირუტყვის სულადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

მუხლი 20. მეფრინველეობის ფერმის მოწყობის ქვეკომპონენტის მიმართულებები და თანადაფინანსების პირობები

1. მეფრინველეობის ფერმის მოწყობის ქვეკომპონენტი ითვალისწინებს, „მეფრინველეობის ფერმის მოწყობის კრიტერიუმები და დასაფინანსებელი ხარჯები“ – დანართ №11-ით განსაზღვრული ხარჯების შესაბამისად, შემდეგი მიმართულებების თანადაფინანსებას:

ა) მეხორცული მიმართულების მეფრინველეობის ახალი ფერმის მოწყობას ან არსებული ფერმის მოდერნიზება და/ან გაფართოება;

ბ) მეკვერცხული მიმართულების მეფრინველეობის არსებული ფერმის მოდერნიზება და/ან გაფართოება.

2. მეხორცული მიმართულების მეფრინველეობის ახალი ფერმის მოწყობის ან არსებული ფერმის მოდერნიზების და/ან გაფართოების შემთხვევაში, თითოეული პროექტის ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 000 ლარს.

3. მეკვერცხული მიმართულების მეფრინველეობის არსებული ფერმის მოდერნიზების და/ან გაფართოების შემთხვევაში, თითოეული პროექტის ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 000 ლარს.

4. მეხორცული მიმართულების მეფრინველეობის ახალი ფერმის მოწყობის ან არსებული ფერმის მოდერნიზების და/ან გაფართოების ან მეკვერცხული მიმართულების მეფრინველეობის არსებული ფერმის მოდერნიზების და/ან გაფართოების შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში - არაუმეტეს 55%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 2 000 000 ლარისა.

5. მეხორცული მიმართულების მეფრინველეობის ახალი ფერმის მოწყობის ან არსებული ფერმის მოდერნიზების და/ან გაფართოების შემთხვევაში, პროექტის ჯამური ღირებულება, ერთ ფრთაზე გადაანგარიშებით, არ უნდა აღემატებოდეს 100 ლარს.

6. მეკვერცხული მიმართულების მეფრინველეობის არსებული ფერმის მოდერნიზების და/ან გაფართოების შემთხვევაში, პროექტის ჯამური ღირებულება, ერთ ფრთაზე გადაანგარიშებით, არ უნდა აღემატებოდეს 110 ლარს.

მუხლი 21. მეფრინველეობის ფერმის მოწყობის ქვეკომპონენტის კრიტერიუმები და ვალდებულებები

1. მეხორცული მიმართულების მეფრინველეობის (ქათამი) ახალი ფერმის მოწყობის ან არსებული ფერმის მოდერნიზების და/ან გაფართოების შემთხვევაში, ფერმის მოწყობა დასაშვებია დანართ №11-ით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

2. მეკვერცხული მიმართულების მეფრინველეობის (ქათამი) არსებული ფერმის მოდერნიზების და/ან გაფართოების კრიტერიუმები განსაზღვრულია დანართ №11-ის შესაბამისად.

3. მეხორცული მიმართულების მეფრინველეობის ახალი ფერმის მოწყობის, არსებული ფერმის მოდერნიზების და/ან გაფართოების, მეკვერცხული მიმართულების მეფრინველეობის არსებული ფერმის მოდერნიზების და/ან გაფართოების შემთხვევაში, ბენეფიციარი ვალდებულია, თანადაფინანსების გაცემამდე იყოლიოს არანაკლებ 5000 ფრთა ქათამი.

მუხლი 22. საფუტკრე მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტის თანადაფინანსების პირობები

1. საფუტკრე მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტი ითვალისწინებს არსებული საფუტკრე მეურნეობის მოდერნიზების და/ან გაფართოების დაფინანსებას, „საფუტკრე მეურნეობის მოწყობის კრიტერიუმები და დასაფინანსებელი ხარჯები“ – დანართ №12-ით განსაზღვრული ხარჯების შესაბამისად.

2. პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი პროექტის ჯამური თანხა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 15 000 ლარს.

3. არსებული საფუტკრე მეურნეობის მოდერნიზების და/ან გაფართოების შემთხვევაში სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო

სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 55%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 150 000 ლარისა.

4. არსებული საფუტკრე მეურნეობის მოდერნიზების და/ან გაფართოების შემთხვევაში, პროექტის ჯამური ღირებულება, ერთ სკაზე (ერთ ოჯახზე) გადაანგარიშებით, არ უნდა აღემატებოდეს 400 ლარს.

მუხლი 23. საფუტკრე მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტის კრიტერიუმები და ვალდებულებები

1. საფუტკრე მეურნეობის მოდერნიზება და/ან გაფართოება დასაშვებია დანართ №12-ით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

2. ბენეფიციარი ვალდებულია:

ა) თანადაფინანსების გაცემამდე იყოლოს დანართ №12-ით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი არანაკლებ 100 სკა (ოჯახი);

ბ) თანადაფინანსების გაცემამდე კუთვნილი საფუტკრე მეურნეობა დარეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნულ სისტემაში (NAITS);

გ) თანადაფინანსების გაცემის შემდეგ სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად უზრუნველყოს თანადაფინანსების გაცემამდე არსებული სკების (ოჯახების) რაოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

მუხლი 24. მტკნარი წყლის აკვაკულტურის და/ან მარიკულტურის მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტის მიმართულებები და თანადაფინანსების პირობები

1. მტკნარი წყლის აკვაკულტურის და/ან მარიკულტურის მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტის მიმართულებებია:

ა) ადგილობრივი და/ან ადგილობრივთან გათანაბრებული და/ან უცხო კულტივირებადი წყლის ორგანიზმებისათვის არსებული მეურნეობის გაფართოების და/ან მოდერნიზების დაფინანსება;

ბ) ადგილობრივი და/ან ადგილობრივთან გათანაბრებული და/ან უცხო კულტივირებადი წყლის ორგანიზმებისათვის ახალი მეურნეობის მოწყობის დაფინანსება.

2. პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი პროექტის ჯამური თანხა, არსებული მეურნეობის გაფართოების და/ან მოდერნიზების შემთხვევაში, უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 000 ლარს, ხოლო ახალი მეურნეობის მოწყობის შემთხვევაში – არანაკლებ 100 000 ლარს.

3. სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა, არსებული მეურნეობის გაფართოების და/ან მოდერნიზების შემთხვევაში, განისაზღვრება წარმოდგენილი პროექტის ჯამური თანხის არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების ან მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 55%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 500 000 ლარისა, ხოლო ახალი მეურნეობის მოწყობის შემთხვევაში – არაუმეტეს 1 000 000 ლარისა.

4. მტკნარი წყლის აკვაკულტურის და/ან მარიკულტურის მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება ახალი მეურნეობის მოწყობის და/ან მოდერნიზების და/ან გაფართოების „მტკნარი წყლის აკვაკულტურის და/ან მარიკულტურის მეურნეობის მოწყობის კრიტერიუმები და დასაფინანსებელი ხარჯები“ – დანართ №13-ით განსაზღვრული ხარჯები.

მუხლი 25. მტკნარი წყლის აკვაკულტურის და/ან მარიკულტურის ქვეკომპონენტის კრიტერიუმები და ვალდებულებები

1. მტკნარი წყლის აკვაკულტურის და/ან მარიკულტურის ქვეკომპონენტის ფარგლებში არსებული მეურნეობის გაფართოება და/ან

მოდერნიზება ან ახალი მეურნეობის მოწყობა დასაშვებია დანართ №13-ით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

2. პოტენციურმა ბენეფიციარმა განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინოს „აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოსაგან მიღებული აკვაკულტურის საქმიანობის ნებართვა, რომლის მოქმედების პერიოდიც არ უნდა იყოს ათ წელზე ნაკლები.

3. ტბორების შემთხვევაში ტბორის ზედაპირის ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 ჰექტარს, ხოლო მტკნარი წყლების სააუზე მეურნეობის შემთხვევაში – 600 მ³-ს.

4. აკვაკულტურის ფერმაში უცხო სახეობის მოშენების შემთხვევაში, პოტენციურმა ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს „აკვაკულტურის საქმიანობის განსახორციელებლად უცხო სახეობის შემოყვანის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 9 ივნისის №2-846 ბრძანების შესაბამისად აკვაკულტურის საქმიანობის განსახორციელებლად უცხო სახეობის შემოყვანის ნებართვა, რომელსაც გასცემს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო.

5. პოტენციური ბენეფიციარი ვალდებულია, არსებული მეურნეობის გაფართოების და/ან მოდერნიზების შემთხვევაში, განაცხადთან ერთად წარმოადგინოს არანაკლებ ერთი დასაქმებული დიპლომირებული ან სერტიფიცირებული აკვაკულტურის სპეციალისტის შესახებ ინფორმაცია, ხოლო ახალი მეურნეობის მოწყობის შემთხვევაში, თანადაფინანსების გაცემამდე წარმოადგინოს არანაკლებ ერთი დასაქმებული დიპლომირებული ან სერტიფიცირებული აკვაკულტურის სპეციალისტის შესახებ ინფორმაცია.

თავი III

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი

მუხლი 26. ზოგადი დებულებები

1. გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი ითვალისწინებს ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი რესურსების გამოყოფას თანადაფინანსების სახით, პროგრამითა და ამ კომპონენტით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

2. გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი ითვალისწინებს შემდეგ ქვეკომპონენტებს:

- ა) გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება;
- ბ) შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება.

3. გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში არ ფინანსდება:

- ა) რეკლამისა და მედიაში განთავსების ხარჯები;
- ბ) საწარმოს საბრუნავი სახსრები, მათ შორის, საოპერაციო ხარჯები;
- გ) მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის შეძენის ხარჯი;
- დ) არსებული საწარმოს კაპიტალში წილის შეძენის ხარჯი;
- ე) საპროექტო სამუშაოებისთვის გათვალისწინებული ხარჯი.

მუხლი 27. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის თანადაფინანსების პირობები

1. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში ფინანსდება:

- ა) ხორცის გადამამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება;

ბ) რძის პროდუქტების წარმოება;

გ) ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება და დაკონსერვება;

დ) კაკლისა და სხვა კაკლოვანი კულტურების (გარდა თხილისა) გადამუშავება;

ე) მატყლის, ტყავისა და ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის გადამუშავება;

ვ) ჩაის გადამუშავება;

ზ) ეთერზეთების, დაფნის, სუნელ-სანელებლებისა და საკაზმ-სანელებლების წარმოება;

თ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველების, ფრინველებისა და თევზის კომბინირებული საკვების წარმოება;

ი) საფქველ-ბურღულეული პროდუქტების წარმოება და მარცვლეულის გადამუშავება (გარდა ხორბლის ფქვილის წარმოებისა);

კ) თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქციის გადამუშავება;

ლ) თევზის, კიბოსნაირებისა და მოლუსკების გადამუშავება და დაკონსერვება;

მ) ღვინის, სპირტისა და ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება;

ნ) ბრიკეტების, პელეტების წარმოება, ასევე მათგან და/ან ხე-ტყის და/ან დაფნის ნარჩენებისგან ნახშირის წარმოება;

ო) ენერგოეფექტური ლუმელ(ებ)ის წარმოებისთვის ახალი საწარმოს შექმნა ან არსებული საწარმოს მოდერნიზება/გაფართოება.

2. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში (გარდა ღვინის წარმოებისა), პროექტის ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 500 000 ლარს, ხოლო ღვინის წარმოების შემთხვევაში – არანაკლებ 1 000 000 ლარს.

3. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 40%-ის ოდენობით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო

სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 45%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 2 000 000 ლარისა.

4. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში, შესაძლებელია, დაფინანსდეს მხოლოდ ძირითადი საშუალებების შექმნა, მათ შორის, შენობა-ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯები დამატებული ღირებულების გადასახადის, დანადგარების ტრანსპორტირებისა და მონტაჟის ღირებულების ჩათვლით, ასევე საწარმოთა შესაბამისი კომუნიკაციებით უზრუნველყოფა.

5. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში, ღვინის წარმოება დაფინანსდება „ღვინის წარმოების კრიტერიუმები და დასაფინანსებელი ხარჯები“ – დანართ №14-ით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და ხარჯების შესაბამისად.

6. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში, პოტენციური ბენეფიციარი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინოს ბიზნესგეგმა, რომელსაც განიხილავს სააგენტოს გამგეობის მიერ განსაზღვრული კომისია.

მუხლი 28. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის კრიტერიუმები და ვალდებულებები

1. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში:

ა) პოტენციური ბენეფიციარი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე იურიდიული პირი, რომელშიც სახელმწიფო არ ფლობს წილს/პაის/აქციას;

ბ) მიწის ნაკვეთი, სადაც იგეგმება პროექტის განხორციელება, პოტენციურ ბენეფიციარს უნდა გააჩნდეს საკუთრებაში, არ უნდა ედოს ყადაღა

და რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში;

გ) პოტენციური ბენეფიციარის დამფუძნებელს ან/და პერსონალს უნდა ჰქონდეს ბიზნესის წარმოების სათანადო ცოდნა და გამოცდილება;

დ) წარმოდგენილი პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ახალი (გარდა ენერგოეფექტური ღუმელების წარმოებისა) გადამამუშავებელი საწარმოს შექმნას;

ე) ბიზნესგეგმა და ფინანსური უწყისები წარმოდგენილი უნდა იყოს სააგენტოს მიერ შემუშავებული ფორმატის გათვალისწინებით;

ვ) პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილი პროექტი გათვლილი უნდა იყოს არანაკლებ 50% ადგილობრივი ნედლეულის გადამამუშავებაზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველების, ფრინველებისა და თევზის კომბინირებული საკვებისა და ენერგოეფექტური ღუმელ(ებ)ის წარმოებისა).

2. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში, ღვინის წარმოების თანადაფინანსების შემთხვევაში:

ა) პოტენციურ ბენეფიციარს საკუთრებაში უნდა გააჩნდეს არანაკლებ 5 ჰა ვენახი, რომელიც სააგენტოში განაცხადის წარდგენის თარიღისთვის გაშენებული უნდა იყოს არანაკლებ 10 (ათი) წლის წინ;

ბ) ბენეფიციარი ვალდებულია, წარმოების არანაკლებ 50% უზრუნველყოს საკუთარი ნედლეულით (ყურძნით), რომელიც მიღებული იქნება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვენახებიდან და აღნიშნული ვენახები დასაფინანსებელი საწარმოს მდებარეობიდან დაშორებული უნდა იყოს არაუმეტეს 20 (ოცი) კილომეტრით;

გ) ბენეფიციარმა წარმოებისათვის დარჩენილი ყურძენი უნდა შეისყიდოს ვენახ(ებ)იდან, რომელიც გაშენებულია არანაკლებ 10 წლის წინ და საწარმოს მდებარეობიდან დაშორებულია არაუმეტეს 20 (ოცი) კილომეტრით;

დ) ბენეფიციარი ვალდებულია, თანადაფინანსების გაცემიდან მომდევნო წლის სამი სეზონის განმავლობაში გადაამუშაოს არანაკლებ 100 (ასი) ტონა ყურძენი ყოველ სეზონზე და წარმოადგინოს ყოველი სეზონის ბოლოს ინფორმაცია გადაამუშავებული ყურძენის შესახებ;

ე) ბენეფიციარის საკუთრებაში არსებული ვენახი, საიდანაც მიღებული ყურძენი უნდა გადაამუშაოს ბენეფიციარმა წარმოებისთვის, უნდა იყოს დაზღვეული წარმოების დაწყებიდან მომდევნო სამი სეზონის განმავლობაში.

3. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარი ვალდებულია, პროექტის ფარგლებში შექმნილი/შემენილი ძირითადი საშუალებები (მათ შორის, შენობა-ნაგებობანი) იპოთეკით/გირავნობით დატვირთოს სააგენტოს სასარგებლოდ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების ვადით. ამავდროულად, დასაშვებია, სააგენტოს იპოთეკა/გირავნობა იყოს რიგით მეორე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველი რიგის იპოთეკარია/მოგირავნეა სესხის გამცემი ბანკი.

4. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარი ვალდებულია, უზრუნველყოს საწარმოს წილ(ებ)ის განკარგვის შეზღუდვის რეგისტრაცია სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

მუხლი 29. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის თანადაფინანსების პირობები

1. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება ციტრუსოვანი, კურკოვანი, კენკროვანი, თესლოვანი, სუბტროპიკული, კაკლოვანი, ბოსტნეული, მარცვლეული, ბალჩეული კულტურებისა და ყურძენის შემნახველი ახალი საწარმოები.

2. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში პროექტის ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 500 000 ლარს.

3. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 40%-ის ოდენობით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 45%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 2 000 000 ლარისა.

4. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში, შესაძლებელია, დაფინანსდეს მხოლოდ ძირითადი საშუალებების შექმნა, მათ შორის, შენობა-ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯები დამატებული ღირებულების გადასახადის, დანადგარების ტრანსპორტირებისა და მონტაჟის ღირებულების ჩათვლით, ასევე დაფინანსდება საწარმოთა შესაბამისი კომუნიკაციებით უზრუნველყოფა.

მუხლი 30. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის კრიტერიუმები და ვალდებულებები

1. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში:

ა) პოტენციური ბენეფიციარი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე იურიდიული პირი, რომელშიც სახელმწიფო არ ფლობს წილს/პაის/აქციას;

ბ) შემნახველი საწარმოს ტევადობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 500 ტონას;

გ) შემნახველი საწარმო უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს, რომლებსაც განსაზღვრავს ცენტრი და ამტკიცებს სააგენტო;

დ) მიწის ნაკვეთი, სადაც იგეგმება პროექტის განხორციელება, პოტენციურ ბენეფიციარს უნდა გააჩნდეს საკუთრებაში, არ უნდა ედოს ყადაღა და რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში;

ე) წარმოდგენილი პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ახალი სამაცივრე ან/და მშრალი სასაწყობო საწარმოს შექმნას.

2. შემნახველი საწარმოების ქვეკომპონენტის ბენეფიციარი ვალდებულია, პროექტის ფარგლებში შექმნილი/შეძენილი ძირითადი საშუალებები (მათ შორის, შენობა-ნაგებობები) იპოთეკით/გირავნობით დატვირთოს სააგენტოს სასარგებლოდ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების ვადით. ამავდროულად, დასაშვებია, სააგენტოს იპოთეკა/გირავნობა იყოს რიგით მეორე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველი რიგის იპოთეკარია/მოგირავნეა სესხის გამცემი ბანკი.

თავი IV

შელავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის კომპონენტი

მუხლი 31. ზოგადი დებულებები

1. შელავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის კომპონენტი ითვალისწინებს პროგრამის პირველადი წარმოების თანადაფინანსების, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსებისა და სასაკლავოს მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებისათვის, ასევე შელავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისათვის კომპონენტის ხეტყის დამამზადებელი მექანიზაციისთვის ქვეკომპონენტის ფარგლებში გაფორმებული თანადაფინანსების შეთანხმებით დამტკიცებულ სესხებზე დაწესებული საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსებას.

2. შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის კომპონენტი ითვალისწინებს ხე-ტყის დამამზადებელი მექანიზაციისთვის ქვეკომპონენტს.

მუხლი 32. შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის კომპონენტის თანადაფინანსების პირობები და ვალდებულებები

1. იმისთვის, რომ პოტენციურმა ბენეფიციარმა ისარგებლოს შეღავათიანი აგროკრედიტის ძირითადი საშუალებებისთვის კომპონენტით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს საფინანსო ინსტიტუტის მიერ ასეთი ტიპის სესხების გაცემისა და პროგრამის პირობებს.

2. სააგენტო უზრუნველყოფს სესხის მომსახურებისთვის გადასახდელი საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას, ხელშეკრულების და/ან თანადაფინანსების შეთანხმების საფუძველზე.

3. სესხის თანადაფინანსების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, სააგენტო უფლებამოსილია, განახორციელოს სესხების მონიტორინგი და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს დარღვევებზე.

4. დასაშვებია სესხის რესტრუქტურირაცია, თუ რესტრუქტურირაციის შედეგად სააგენტოს თანადაფინანსების ჯამური თანხა არ აღემატება სესხის რესტრუქტურირაციის თარიღისათვის გრაფიკით გათვალისწინებულ დარჩენილ თანადაფინანსების ჯამურ თანხასა და ვადას.

5. დასაშვებია სესხ(ებ)ის რეფინანსირება, თუ აღნიშნული სესხი გაცემულია შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის კომპონენტის ფარგლებში და სესხის რეფინანსირების თარიღისთვის ახალი სესხის თანხა არ აღემატება თავდაპირველი სესხის ნარჩენ ძირითად თანხას, არ იზრდება თავდაპირველი სესხის თანადაფინანსების ვადა და სააგენტოს დარჩენილი გადასახდელი თანადაფინანსების მოცულობა.

6. დასაშვებია პარალელური სესხების გაცემა, თუ პარალელური სესხების ჯამი არ აღემატება შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის

კომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარზე განსაზღვრული გასაცემი სესხის მაქსიმალურ ლიმიტს (გარდა ხე-ტყის დამამზადებელი მექანიზაციისთვის ქვეკომპონენტით განსაზღვრული ლიმიტებისა) და თითოეული პარალელური სესხის თანხა არ არის მინიმალურ სალიმიტო თანხაზე ნაკლები.

7. სესხის ლიმიტი განისაზღვრება 15 000 ლარიდან 4 000 000 ლარის ჩათვლით. სესხის ვადის განსაზღვრა ხდება ბენეფიციარისა და სესხის გამცემი საფინანსო ინსტიტუტის შეთანხმების საფუძველზე.

8. სესხის საპროცენტო განაკვეთი დგინდება მისი მოცულობიდან გამომდინარე. სესხის საპროცენტო განაკვეთი შესაძლებელია, იყოს ფიქსირებული ან მცურავი (ცვლადი):

ა) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
15 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 18%-ისა
150 001 ლარიდან 500 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 17%-ისა
500 001 ლარიდან 4 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 16%-ისა;

ბ) მცურავი (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
15 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

	დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 8%-ისა
150 001 ლარიდან 500 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7%-ისა
500 001 ლარიდან 4 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6%-ისა.

9. სააგენტოს მიერ არაუმეტეს 36 თვის სესხის პროცენტის თანადაფინანსება მოხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ოდენობით სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან არაუმეტეს 38 თვის განმავლობაში, ამასთან, სესხის თანადაფინანსება გაიცემა მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი დაადასტურებს ამ პროგრამის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კომპონენტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრული მიზნობრიობ(ებ)ის შესრულებას.

10. საფინანსო ინსტიტუტის მიერ სესხის სრულად გაცემა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან:

ა) პირველადი წარმოებისა და სასაკლავო მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტების ფარგლებში – 15 თვეში;

ბ) გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში – 21 თვეში.

11. სესხის გაცემა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს ერთი თვის ვადაში.

12. სესხის გაცემისთვის საფინანსო ინსტიტუტის საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს:

- ა) 50 000 ლარამდე – 0.5%-ს;
- ბ) 50 001 ლარი ან მეტი – 0.2% -ს.

13. სესხის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, ბენეფიციარს საფინანსო ინსტიტუტის მიმართ არ წარმოეშობა წინსწრებით დაფარვის საკომისიო/ჯარიმა.

14. სესხის დაფარვის გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში, გრაფიკით განსაზღვრული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტი უფლებამოსილია, მხოლოდ გადასახდელ ძირითად თანხაზე დაარიცხოს ბენეფიციარს ჯარიმა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის 0.1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

15. სხვა საფინანსო ინსტიტუტის მიერ სესხის რეფინანსირების შემთხვევაში, იმოქმედებს არაუმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებული საკომისიოს განაკვეთი.

16. სესხის დაფარვის გრაფიკის განსაზღვრა ხდება ბენეფიციარსა და საფინანსო ინსტიტუტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

17. სააგენტოს მიერ სესხის თანადაფინანსება შეწყდება:

- ა) სესხის სრულად დაფარვის შემთხვევაში;
- ბ) ბენეფიციარის მიერ ხელშეკრულებით და/ან თანადაფინანსების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და პროგრამის სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში;
- გ) საფინანსო ინსტიტუტის მიერ სააღსრულებო ფურცლის მიღების შემთხვევაში;
- დ) სესხის გრაფიკით გათვალისწინებული სესხის თანადაფინანსების გადახდის ბოლო თარიღიდან 2 თვის გასვლის შემდგომ.

მუხლი 33. ხე-ტყის დამამზადებელი მექანიზაციისთვის ქვეკომპონენტის თანადაფინანსების პირობები

1. ხე-ტყის დამამზადებელი მექანიზაციისთვის ქვეკომპონენტის ფარგლებში, სესხი გაიცემა ტექნიკის და/ან იმპლემენტის შესასყიდად, რომლის შესაბამისობაც უნდა დასტურდებოდეს სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გაცემული ცნობით და რომელთა შესყიდვა შესაძლებელია, განხორციელდეს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

2. იმპლემენტის შესყიდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოტენციურ ბენეფიციარს/ბენეფიციარს რეგისტრირებულ საკუთრებაში გააჩნია სათანადო დოკუმენტაციით დადასტურებული შესაბამისი ტექნიკა ან გაცემული სესხის მიზნობრიობას წარმოადგენს შესაბამისი ტექნიკ(ებ)ისა და იმპლემენტ(ებ)ის ერთობლივი შესყიდვა.

3. ტექნიკის და/ან იმპლემენტის შესყიდვა შესაძლებელია ადგილობრივ ბაზარზე (საქართველოში რეგისტრირებული ინდემწარმისგან ან/და იურიდიული პირისგან) ან იმპორტის გზით.

4. შესასყიდი ტექნიკა უნდა იყოს ახალი (ექსპლოატაციაში არმყოფი), კერძოდ, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ორ პირობას:

ა) ტექნიკის შესყიდვის მომენტში უნდა მოქმედებდეს ტექნიკის მწარმოებელი კომპანიის მიერ გაცემული გარანტია;

ბ) ტექნიკა წარმოებული უნდა იყოს შესყიდვამდე არაუმეტეს 3 კალენდარული წლით ადრე.

5. ქვეკომპონენტის ფარგლებში შეღავათიანი აგროკრედიტით სარგებლობა შეუძლიათ იმ იურიდიულ და მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომლებიც რეგისტრირებულები არიან და ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას ახმეტის, დედოფლისწყაროს, ყვარლის, თელავის, თიანეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში.

6. ბენეფიციარი ვერ მოახდენს სესხით შესყიდული ტექნიკის და/ან იმპლემენტის გასხვისებას ან გაყვანას საქართველოს საზღვრის გარეთ

სააგენტოს მიერ სესხზე საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების პერიოდის განმავლობაში.

7. სესხის თანხის ლიმიტი განისაზღვრება 7 000 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით.

8. სააგენტოს მიერ არაუმეტეს 36 თვის სესხის პროცენტის თანადაფინანსება მოხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ოდენობით სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან არაუმეტეს 38 თვის განმავლობაში, ამასთან, სესხის თანადაფინანსება გაიცემა მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი დაადასტურებს სესხის მიზნობრივად ხარჯვას, ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

9. სესხის საპროცენტო განაკვეთი დგინდება მისი მოცულობიდან გამომდინარე. სესხის საპროცენტო განაკვეთი შესაძლებელია, იყოს ფიქსირებული ან მცურავი (ცვლადი):

ა) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
7 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 18%-ისა
150 001 ლარიდან 600 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 17%-ისა
600 001 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 16%-ისა;

ბ) მცურავი (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
7 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 8%-ისა
150 001 ლარიდან 600 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7%-ისა
600 001 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6%-ისა.

10. ბენეფიციარი ვალდებულია, სესხის (გარდა რეფინანსირებული სესხებისა) გაცემიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში სესხის ხარჯვის მიზნობრიობის დასადასტურებლად საფინანსო ინსტიტუტში წარადგინოს აუდიტორული დასკვნა. თუ აღნიშნულ ვადაში ბენეფიციარმა არ წარადგინა აუდიტორული დასკვნა, სააგენტოს მხრიდან შეწყდება თანადაფინანსების შეთანხმება.

11. სესხის ის პირობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლით, დარეგულირდება ამ პროგრამის 32-ე მუხლით განსაზღვრული პირობებით.

თავი V

შელავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის კომპონენტი

მუხლი 34. ზოგადი დებულებები

1. შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის კომპონენტი ითვალისწინებს მიზნობრივი ფულადი რესურსების გამოყოფას სესხის თანადაფინანსების სახით, პროგრამითა და ამ კომპონენტით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

2. შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის კომპონენტი ითვალისწინებს:

- ა) ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოების ქვეკომპონენტს;
- ბ) ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ყურძენს შეიძენენ საბრენდე სპირტის წარმოების მიზნით ქვეკომპონენტს;
- გ) ერთწლოვანი კულტურების დაფინანსებისთვის ქვეკომპონენტს.

მუხლი 35. შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის კომპონენტის თანადაფინანსების პირობები

1. იმისთვის, რომ პოტენციურმა ბენეფიციარმა ისარგებლოს შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის კომპონენტით, უნდა აკმაყოფილებდეს ამ პროგრამისა და საფინანსო ინსტიტუტის მიერ ასეთი ტიპის სესხების გაცემის პირობებს.

2. სააგენტო უზრუნველყოფს სესხის მომსახურებისთვის გადასახდელი საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას შეთანხმების საფუძველზე.

3. სესხის თანადაფინანსების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, სააგენტო უფლებამოსილია, განახორციელოს სესხების მონიტორინგი და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს დარღვევებზე.

4. დასაშვებია სესხის რესტრუქტურირაცია, თუ რესტრუქტურირაციის შედეგად სააგენტოს თანადაფინანსების ჯამური თანხა არ აღემატება სესხის რესტრუქტურირაციის თარიღისათვის გრაფიკით გათვალისწინებულ დარჩენილ თანადაფინანსების ჯამურ თანხასა და ვადას.

5. დაუშვებელია ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხ(ებ)ით სხვა სესხ(ებ)ის რეფინანსირება, გარდა იმავე სეზონზე შესაბამისი ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხ(ებ)ისა.

6. სესხის გაცემისთვის საფინანსო ინსტიტუტის საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს:

ა) 50 000 ლარამდე – 0.5%-ს;

ბ) 50 001 ლარი ან მეტი – 0.2%-ს.

7. სესხის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, ბენეფიციარს საფინანსო ინსტიტუტის მიმართ არ წარმოეშობა წინსწრებით დაფარვის საკომისიო/ჯარიმა.

8. სესხის დაფარვის გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში, გრაფიკით განსაზღვრული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტი უფლებამოსილია, მხოლოდ გადასახდელ ძირითად თანხაზე დაარიცხოს ბენეფიციარს ჯარიმა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის 0.1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9. სხვა საფინანსო ინსტიტუტის მიერ სესხის რეფინანსირების შემთხვევაში, იმოქმედებს არაუმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებული საკომისიოს განაკვეთი.

10. სესხის დაფარვის გრაფიკის განსაზღვრა ხდება ბენეფიციარსა და საფინანსო ინსტიტუტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

11. სააგენტოს მიერ სესხის თანადაფინანსება შეწყდება:

ა) სესხის სრულად დაფარვის შემთხვევაში;

ბ) ბენეფიციარის მიერ თანადაფინანსების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და პროგრამის სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში;

გ) საფინანსო ინსტიტუტის მიერ სააღსრულებო ფურცლის მიღების შემთხვევაში;

დ) სესხის გრაფიკით გათვალისწინებული სესხის თანადაფინანსების გადახდის ბოლო თარიღიდან 1 თვის გასვლის შემდგომ;

ე) საფინანსო ინსტიტუტის მიერ შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის კომპონენტი თანადაფინანსების ფარგლებში გაუთვალისწინებელი მიზნობრიობის მქონე სესხის გაცემის შემთხვევაში;

ვ) ბენეფიციარის მიერ სესხის მიზნობრიობის დარღვევის შემთხვევაში.

12. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს აუდიტორული დასკვნის წარმოდგენლობის გამო შეუწყდა თანადაფინანსება, სააგენტო უფლებამოსილია, აღუდგინოს თანადაფინანსება, თუ ბენეფიციარის მიერ სესხის თანადაფინანსების მოქმედების ვადაში წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნით დადასტურდება სესხის მიზნობრივად ხარჯვა.

მუხლი 36. ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის ქვეკომპონენტის თანადაფინანსების პირობები

1. ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის ქვეკომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარებზე სესხი გაიცემა ყურძნის, ასევე ღვინის წარმოებისათვის საჭირო მასალების (ბოთლის, საცობის, ჩაჩის, ეტიკეტისა და ყუთის) შესაძენად.

2. ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხის გაცემა დასაშვებია ყოველი წლის 20 აგვისტოდან 31 ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე.

3. სესხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ განსაზღვრულ საწარმოებზე.

4. ბენეფიციარზე ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხის თანხის ლიმიტი განისაზღვრება არანაკლებ 20 000 ლარიდან არაუმეტეს 10 000 000 ლარის ჩათვლით, ხოლო სესხის ვადა – 15 თვით.

5. სააგენტო განახორციელებს ყურძნის შესაძენად და ღვინის წარმოებისათვის საჭირო მასალების (ბოთლის, საცობის, ჩაჩის, ეტიკეტისა და ყუთის) შესაძენად აღებული სესხის საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას. სააგენტო არ განახორციელებს საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას აღებული კრედიტის იმ ნაწილზე, რომელსაც ბენეფიციარი ვერ ან არ მოახმარს ყურძნის შეძენას და ღვინის წარმოებისათვის საჭირო მასალების (ბოთლის, საცობის, ჩაჩის, ეტიკეტისა და ყუთის) შეძენას.

6. ბენეფიციარი ვალდებულია, სესხის (გარდა რეფინანსირებული სესხებისა) გაცემიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში სესხის ხარჯვის მიზნობრიობის დასადასტურებლად საფინანსო ინსტიტუტში წარადგინოს აუდიტორული დასკვნა. თუ აღნიშნულ ვადაში ბენეფიციარმა არ წარადგინა აუდიტორული დასკვნა, სააგენტოს მხრიდან შეწყდება თანადაფინანსების შეთანხმება.

7. აუდიტორული დასკვნით წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე გაფორმდება სამმხრივი შედარების აქტი სააგენტოს, ბენეფიციარსა და სესხის გამცემ ბანკს შორის ბენეფიციარის მიერ სესხის მიზნობრიობის შესაბამისად ათვისების თაობაზე.

8. სესხის საპროცენტო განაკვეთი დგინდება მისი მოცულობიდან გამომდინარე. სესხის საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა, იყოს ფიქსირებული ან მცურავი (ცვლადი):

ა) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 16%-ისა
150 001 ლარიდან 500 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 15%-ისა

500 001 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 14%-ისა
1 500 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 13%-ისა
5 000 001 ლარიდან 10 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 12%-ისა;

ბ) მცურავი (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 8%-ისა
150 001 ლარიდან 500 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7%-ისა
500 001 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6%-ისა
1 500 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5%-ისა
5 000 001 ლარიდან 10 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 4%-ისა.

9. სესხის საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსება მოხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების

განაკვეთის ოდენობით, რომელსაც სააგენტო გადაიხდის სესხის დაფარვის გრაფიკის შესაბამისად, ბენეფიციარის მიერ სესხის გადახდის პარალელურად. ამასთან, სესხის თანადაფინანსება გაიცემა მას შემდეგ, რაც ბენეფიციართან გაფორმდება შედარების აქტი და განისაზღვრება სესხის გადახდის საბოლოო გრაფიკი.

10. სესხის დაფარვა ხდება ანუიტეტით ან არასტანდარტული გრაფიკით. საშეღავათო პერიოდს, როგორც ძირითადი თანხის, ასევე საპროცენტო სარგებლის გადახდაზე, განსაზღვრავს სესხის გამცემი საფინანსო ინსტიტუტი.

11. სესხის ის პირობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლით, დარეგულირდება ამ პროგრამის 35-ე მუხლით განსაზღვრული პირობებით.

მუხლი 37. ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ყურძენს შეიძენენ საბრენდე სპირტის წარმოების მიზნით ქვეკომპონენტი

1. ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ყურძენს შეიძენენ საბრენდე სპირტის წარმოების მიზნით ქვეკომპონენტის ფარგლებში, სესხი გაიცემა ბენეფიციარებზე, რომლებიც ყურძენს შეიძენენ საბრენდე სპირტის წარმოების მიზნით. ასევე შესაძლებელია, დაფინანსდეს ბრენდის წარმოებისათვის საჭირო მასალების (ბოთლის, საცობის, ჩაჩის, ეტიკეტისა და ყუთის) შეძენა.

2. სესხის გაცემა დასაშვებია ყოველი წლის 20 აგვისტოდან 31 ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე.

3. სესხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ განსაზღვრულ საწარმოებზე. აღნიშნულ საწარმოთა ჩამონათვალს სააგენტოს აწვდის სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო.

4. ბენეფიციარზე გაცემული სესხის თანხის ლიმიტი განისაზღვრება არანაკლებ 20 000 ლარიდან არაუმეტეს 30 000 000 ლარის ჩათვლით, ხოლო სესხის ვადა – არაუმეტეს 36 თვით.

5. სააგენტო განახორციელებს ყურძნის შესაძენად და ბრენდის წარმოებისათვის საჭირო მასალების (ბოთლის, საცობის, ჩაჩის, ეტიკეტისა და ყუთის) შესაძენად აღებული კრედიტის საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას. სააგენტო არ განახორციელებს საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას აღებული კრედიტის იმ ნაწილზე, რომელსაც ბენეფიციარი ვერ ან არ მოახმარს ყურძნის შეძენას და/ან შეძენილი ყურძნით ვერ ან არ მოხდება საბრენდე სპირტის წარმოება ან/და ვერ ან არ მოახდენს ბრენდის წარმოებისთვის საჭირო მასალების შეძენას.

6. ბენეფიციარი ვალდებულია, სესხის (გარდა რეფინანსირებული სესხებისა) გაცემიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში სესხის ხარჯვის მიზნობრიობის დასადასტურებლად საფინანსო ინსტიტუტში წარადგინოს აუდიტორული დასკვნა. თუ აღნიშნულ ვადაში ბენეფიციარმა არ წარადგინა აუდიტორული დასკვნა, სააგენტოს მხრიდან შეწყდება თანადაფინანსების შეთანხმება.

7. აუდიტორული დასკვნით წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე გაფორმდება სამმხრივი შედარების აქტი სააგენტოს, ბენეფიციარსა და სესხის გამცემ ბანკს შორის ბენეფიციარის მიერ სესხის მიზნობრიობის შესაბამისად ათვისების თაობაზე.

8. სესხის საპროცენტო განაკვეთი დგინდება მისი მოცულობიდან გამომდინარე. სესხის საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა, იყოს ფიქსირებული ან მცურავი (ცვლადი):

ა) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 16%-ისა
150 001 ლარიდან 500 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 15%-ისა
500 001 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 14%-ისა
1 500 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 13%-ისა
5 000 001 ლარიდან 30 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 12%-ისა;

ბ) მცურავი (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 8%-ისა
150 001 ლარიდან 500 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7%-ისა
500 001 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6%-ისა
1 500 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5%-ისა
5 000 001 ლარიდან 30 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 4%-ისა.

9. სესხის საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსება მოხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ოდენობით, რომელსაც სააგენტო გადაიხდის სესხის დაფარვის გრაფიკის შესაბამისად, ბენეფიციარის მიერ სესხის გადახდის პარალელურად. ამასთან, სესხის თანადაფინანსება გაიცემა მას შემდეგ, რაც ბენეფიციართან გაფორმდება შედარების აქტი და განისაზღვრება სესხის გადახდის საბოლოო გრაფიკი.

10. სესხის დაფარვა ხდება ანუიტეტით ან არასტანდარტული გრაფიკით. საშეღავათო პერიოდს, როგორც ძირითადი თანხის, ასევე საპროცენტო სარგებლის გადახდაზე, განსაზღვრავს სესხის გამცემი საფინანსო ინსტიტუტი.

11. სესხის ის პირობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლით, დარეგულირდება ამ პროგრამის 35-ე მუხლით განსაზღვრული პირობებით.

მუხლი 38. ერთწლოვანი კულტურების დაფინანსებისთვის ქვეკომპონენტი

1. ერთწლოვანი კულტურების დაფინანსებისთვის ქვეკომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარზე სესხები გაიცემა ერთწლოვანი კულტურების ერთი საოპერაციო წლის ხარჯების დასაფინანსებლად:

- ა) სათესი და სარგავი მასალის მიმდინარე ხარჯებისთვის;
- ბ) პესტიციდების, ორგანული და მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებების მიმდინარე ხარჯებისთვის;
- გ) შრომითი რესურსებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის;
- დ) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის გამოყენებული ტექნიკის საწვავ-საცხები მასალების მიმდინარე ხარჯებისთვის;
- ე) ერთწლოვანი სარწყავი მიწების ხარჯებისთვის.

2. ქვეკომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარზე ერთ სეზონზე გაცემული სესხის თანხა განისაზღვრება არანაკლებ 10 000 ლარიდან არაუმეტეს 100 000 ლარის ჩათვლით, ხოლო მარცვლეული კულტურების შემთხვევაში, განისაზღვრება არანაკლებ 10 000 ლარიდან არაუმეტეს 300 000 ლარის ჩათვლით.

3. საფინანსო ინსტიტუტის მიერ ამ ქვეკომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარზე გაცემული სესხის სარგებლობისათვის განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 18%-ს.

4. სესხის ვადისა და გადახდის გრაფიკის განსაზღვრა ხდება ბენეფიციარისა და კრედიტის გამცემი საფინანსო ინსტიტუტის შეთანხმების საფუძველზე.

5. სააგენტო მოახდენს ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხის არაუმეტეს 12 თვის პროცენტის თანადაფინანსებას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ოდენობით, სესხის გაცემიდან არაუმეტეს 14 თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი დაადასტურებს სესხის მიზნობრივად ხარჯვას ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

6. ერთწლოვანი კულტურების ერთი საოპერაციო წლის მოვლა-მოყვანის მაქსიმალური ხარჯი, 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით, განისაზღვრება „ერთწლოვანი კულტურების ერთი საოპერაციო წლის მოვლა-მოყვანის მაქსიმალური ხარჯი 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით“ – დანართ №15-ით.

7. მიწის ნაკვეთი, სადაც იგეგმება სესხის თანხის ინვესტირება, უნდა იყოს მსესხებლის საკუთრებაში, თანასაკუთრებაში ან სარგებლობაში (სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივის შემთხვევაში, დაშვებულია, სესხის თანხის ინვესტირება განხორციელდეს კოოპერატივის წევრთა/მეპაიეთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (თანასაკუთრების შემთხვევაში, უნდა არსებობდეს თანამესაკუთრების თანხმობა სესხის თანადაფინანსების ვადის

განმავლობაში ქონებით სარგებლობის თაობაზე, ხოლო სარგებლობის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადა არ უნდა იყოს სესხის თანადაფინანსების ვადაზე ნაკლები).

8. ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემულ სესხზე (გარდა რეფინანსირებული სესხებისა) ბენეფიციარი ვალდებულია, სესხის გაცემიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში მომსახურე საფინანსო ინსტიტუტში წარადგინოს აუდიტორული დასკვნა სესხის მიზნობრივად ხარჯვის შესახებ, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ ერთწლოვანი კულტურების ერთი საოპერაციო წლის მოვლა-მოყვანის მაქსიმალურ ხარჯს 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით.

9. ამ მუხლით განსაზღვრული პირობებით სესხის გაცემა დაიშვება ყოველი წლის 1 თებერვლიდან ამავე წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე.

10. სესხის ის პირობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლით, დარეგულირდება ამ პროგრამის 35-ე მუხლით განსაზღვრული პირობებით.

თავი VI

სასაკლავოს მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტი

მუხლი 39. სასაკლავოს მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის თანადაფინანსების პირობები

1. სასაკლავოს მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტი ითვალისწინებს არსებული სასაკლავოს გაფართოების/მოდერნიზების ან ახალი სასაკლავოს მოწყობის თანადაფინანსებას.

2. სასაკლავოს მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება არსებული სასაკლავოს გაფართოება/მოდერნიზება ან ახალი

სასაკლავოს მოწყობა, დანართ №16-ით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და ხარჯების შესაბამისად.

3. არსებული სასაკლავოს გაფართოების/მოდერნიზების შემთხვევაში, პროექტის ჯამური თანხა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 000 ლარს, ხოლო ახალი სასაკლავოს მოწყობის შემთხვევაში – არანაკლებ 300 000 ლარს.

4. სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა, არსებული სასაკლავოს გაფართოების/მოდერნიზების შემთხვევაში, განისაზღვრება წარმოდგენილი პროექტის ჯამური თანხის არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების ან მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 55%-ის ოდენობით, არაუმეტეს 150 000 ლარისა, ხოლო ახალი სასაკლავოს მოწყობის შემთხვევაში – არაუმეტეს 700 000 ლარისა.

მუხლი 40. სასაკლავოს მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის თანადაფინანსების კრიტერიუმი და ვალდებულებები

1. სასაკლავოს მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის პოტენციურმა ბენეფიციარმა განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინოს, როგორც არსებული სასაკლავოს გაფართოების/მოდერნიზების, ასევე ახალი სასაკლავოს მოწყობის შემთხვევაში, სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს თანხმობა სასაკლავოს დაგეგმარებაზე, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს „ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის დამტკიცების თაობაზე“ და „ტექნიკური რეგლამენტის – „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ

მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №605 დადგენილებებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. ბენეფიციარმა თანადაფინანსების გაცემამდე უნდა წარმოადგინოს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული აღიარება ან პირობითი აღიარება.

